ორი ფორვარდი ძალზე ცოტაა

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 16 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) - “ნეფტჩი” (ბაქო) - 1:1 (0:0).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, კუტივაძე, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

“ნეფტჩი”: კრამარენკო, ყულიევი, ბრუხტი, ბაბაევი, ტროფიმოვი, მირზოიანი, ზეინალოვი, შევჩენკო, რახამოვი (აბდულაევი), სმოლნიკოვი (ვინულაევი), სტეკოლნიკოვი.

მსაჯი: პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

ვისთან, თუ არა ბაქოს “ნეფტჩისთან”, და ისიც საკუთარ მინდორზე, უნდა ითამაშოს თბილისის “დინამომ” მოგებაზე? ასეთი ქულები წინასწარ იგეგმება, ამის შესაბამისად კომპლექტდება გუნდიც, მასში მაქსიმალური შესაძლო რაოდენობით შეჰყავთ ფორვარდები და შუა ხაზის მოთამაშეებსაც საიერიშო ფუნქციებს აკისრებენ.

მაგრამ გადახედეთ თბილისის “დინამოს” 16 სექტემბრის შემადგენლობას და თქვენთვის მაშინვე ცხადი გახდება, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო გამოეყვანა მინდორზე თავდამსხმელთა საკმაო რაოდენობა. პირიქით, ჩვენ არ გვახსოვს ასე “ხელმოკლედ” გვქონდეს საქმე წინა ხაზში. აქ “დინამოს” სულ 2 მოთამაშე ჰყავდა - ძმები ნოდიები. მიზეზი? მიზეზი სულ “უბრალოა”: მეტრეველს ფეხი აქვს დაშავებული, გავაშელი ტრავმის მერე ფორმაში არაა, სხვა ფორვარდი კი გუნდს არა ჰყავს. აი, ამის გამო იყო, რომ დინამოელებმა “ნეფტჩისთან” 4 ნახევარმცველი გამოიყვანეს და, ამასთან ოთხივე მათგანი ტიპიური შუა ხაზის მოთამაშე იყო. პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი და კუტივაძე მთელი მატჩის მანძილზე მოქმედებდნენ, როგორც ყოველთვის, როცა “დინამოს” წინ 3 ან 4 თავდამსხმელი ჰყავს ხოლმე, ეს კი გამარჯვებისთვის არ გამოდგა საკმარისი. ისინი ხშირად აყოვნებდნენ შეტევის განვითარებას, აჩერებდნენ ბურთს, არ მიმართავდნენ სწრაფ, შორეულ გადაცემებს და ორივე ნოდია ფაქტიურად საკუთარი “თვითმოქმედების” იმედით იყო დარჩენილი.

“ნეფტჩის” ყოველმხრივ უწყობდა ხელს ფრე. ამიტომ გუნდს ეპიზოდური კონტრშეტევების მეტი არც უცდია არაფერი და შუა მინდორზე, აგრეთვე, საჯარიმო მოედანზე მოუყარა თავი თავის ძირითად საბრძოლო ძალებს. ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მოეხდინა “დინამოს” 2 ფორვარდის ნეიტრალიზება და სრულ მზადყოფნაში დახვედროდა ნახევარმცველებს, სანამ ისინი ნელი ტემპით უახლოვდებოდნენ მის კარს.

კარში დარტყმები და სახიფათო მომენტები თითქმის არ იყო. მართალია, საერთო უპირატესობა დინამოელებს ჰქონდათ, მაგრამ არა ისეთი, რომ მას ხელსახები შედეგები მოეტანა. გ. ნიდოას, ლ. ნოდიას და კუტივაძეს სხვადასხვა დროს შეეძლოთ გამოეყენებინათ ხელსაყრელი მომენტები, მათი საბოლოო დარტყმები კი არ იყო ზუსტი.

ანგარიში გაიხსნა 55-ე წუთზე. ბრუხტიმ, რომელიც ჩვეულებისამებრ უხეშად თამაშობდა, კარის სიახლოვეს წააქცია გ. ნოდია. ილიადიმ შეუცდომლად შეასრულა 11-მეტრიანი დარტყმა - 1:0.

ბრძოლა ამის შემდეგ საგრძნობლად გამწვავდა. ბაქოელებმა 2 მოთამაშე შეცვალეს და ორივე შეტევაზე ისროლეს. ამან საბოლოოდ გამოიღო შედეგი, თუმცა გოლი, რომელიც თბილისელთა კარში იქნა გატანილი, მხოლოდ და მხოლოდ "დინამოს" მცველის სინდისზეა. მიმდინარეობდა მატჩის 88-ე წუთი, როცა შევჩენკომ მარცხენა ფრთიდან მიაწოდა კარის წინ. იქ თბილისელთა რამდენიმე მცველი იყო, რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეთმოთ ბურთი მოწინააღმდეგისთვის. მათ კი ვერ შეძლეს სრულიად ელემენტარულ პოზიციაში გარკვევა, დააგვიანეს და სტეკოლნიკოვმა იხსნა თავისი გუნდის ქულა - 1:1.

რ. ქორიძე.
"ლელო", 18 სექტემბერი, 1969 წ.